

შავშეთში მდებარე ბალვანას მონასტრის  
არქიტექტურულ-ისტორიული კვლევა

ანა გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა  
საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ნინო ჭიჭინაძე, ასოცირებული პროფესორი;  
თეიმურაზ ჯოჯუა ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერა ქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გელაშვილი

06.27.2016

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სამეცნიერო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მონასტრის როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ასევე ძეგლის დათარიღების მცდელობა. საუბარია ისტორიული საქართველოს, შავშეთის მხარეში არსებულ, შუა საუკუნეების, შეუსწავლელ ბალვანას მონასტერზე.

ბოლო დრომდე, მონასტრის შესახებ, მხოლოდ ზეპირი მონათხრობით იუწყებოდნენ, რომ შავშეთის მთიან ნაწილში არსებობს ბალვანას მონასტერი - აქამდე არ არსებობდა ძეგლის არც აღწერითი და არც ფოტომასალა; ისტორიული წყაროები ამ მონასტრის შესახებ არ გაგავაჩნია; ძეგლის მხოლოდ მოხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, XX საუკუნიდან გვხვდებოდა.

ბალვანას მონასტერმა, ბოლო დროს, თანამედროვე მეცნიერთაყ ურადლებაც მიიპყრო და აღნიშნულ საკითხს მოხსენებებიც მიეძღვნა, რაც ამ ხუროთმოძღვრული ანსამბლის საფუძვლიანი კვლევისას დამხმარე გზამკვლევად მიგვაჩნია.

2015 წელს, ექსპედიციისას ძეგლზე უშუალოდ მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა:

ა) ძეგლის შესასწავლად უპირველესი სამუშაოს ჩატარება - ძეგლის აზომვა, აღწერა და ფოტოფიქსაცია.

ბ) მონასტრის შემორჩენილი ნაგებობის - ეკლესია, სამარხი, საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობების შესწავლით შესაძლებელი გახდა, სამშენებლო ქრონოლოგიის განსაზღვრა.

გ) ექსპედიციის დროს მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, საკუთრივ ნაგებობათა ხუროთმოძღვრული თავისებურებათა და ასევე ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა ვარაუდი ტაძრის აღმშენებელთა ვინაობის თაობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბალვანას მონასტერი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, ხუროთმოძღვრება, შუასაუკუნეები.

## Abstract

The aim of the thesis is to introduce to scholarly circles the less known monastery situated in historical Georgian region Shavsheti (now in present day Turkey) and to analyse its architectural and historical meaning. The monastery which consists of the main church with crypt (or ossuary), dwelling tower and other structures are partially in the rock. On the basis of the mentioned analyses is made an attempt to date the construction of the monastery. Up to now, only oral recounts have mentioned that in the mountainous part of Shavsheti there was Balvana Monastery.

There have been no descriptive or photo materials of the monastery. There are no historical sources about this monastic complex. In the scholarly literature the mentioning of the monument appears only from the 20th century.

Balvana monastery only recently has attracted the attention of contemporary scholars. The monastery is discussed in the papers which provides a firm basis for its further study.

The works during the expedition allowed us:

a) to carry-out the preliminary works for the study of the monument: to make its measurements, description and photo recording;

b) by studying the remaining buildings of the monastery- a church, burial, residential and ancillary buildings, the chronology of the construction has been determined;

c) by the analysis of the architectural and historical sources of the monument, with the reasoned arguments, the supposition about the identity of the builders of the monastery have been suggested.

**Key words:** Balvana Monastery, Tao-Klarejeti, Shavsheti, art history, architecture, Middle Ages

## მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელებს, პროფესორებს ქალბატონ ნინო ჭიჭინაძეს და თეიმურაზ ჯოჯუას, რომელთაც დამხარება გამიწიეს ნაშრომის შექმნაში და ნდობა გამომიცხადეს და ამდრომდე ნაკლებად ცნობილი, ისტორიული ძეგლის კვლევაში.